**საკვებიდანამატი "ჩემი ბოჩოლა"**

**food additive "Chemi Bochola"**

საკვები დანამატი ზრდის მასტიმულირებელი მოქმედებით მეხორცული და მერძეული ხბოებისათვის

მწარმოებელი: შპს "ბიოტეკსი", საქართველო

**ზოგადი ცნობები**

საკვები დანამატი "ჩემი ბოჩოლა" ზრდის მასტიმულირებელი მოქმედებით, წარმოადგენს ვიტამინურ-მინერალურ, მიკროელემენტების კომპლექსს, რომელიც გამოიყენება მეხორცული და მერძეული ხბოების საკვების მოსამზადებლად.

**შემადგენლობა,** შეიცავს: ვიტამინებს (A, $D_3$, E. $B_1$, $B_2$, $B_6$, $B_{12}$, C, $K_3$), მინერალებს (Ca, P, NaCl, KCl, $CaI_2$, $MgSO_4$), მიკროელემენტებს (Fe, Cu, Mn, Zn, Co ), ბეგქონდარას ექსტრაქტს, ყანის ნივრის ექსტრაქტს.

**გამოშვების ფორმა:** დაფასოებულია 250გ პაკეტებში

**შენახვის პირობები:** ინახება მწარმოებლის შეფუთვაში მშრალ, გრილ და მზისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას

**ვარგისობის ვადა:** 6 თვე

**ბიოლოგიური თვისებები**

საკვები დანამატი "ჩემი ბოჩოლა" ზრდის მასტიმულირებელი მოქმედებით წარმოადგენს ბუნებრივი ნივთიერებებისგან მიღებულ პროდუქტს, რომელიც გამიზნულია ხბოს საკვების მოსამზადებლად, მისი შემადგენლობა იდეალურადაა დაბალანსებული, სადაც ვიტამინურ-მინერალური დანამატები, მიკროელემენტები შერწყმულია ბეგქონდარასა და ყანის ნივრის ექსტრაქტის ბიოლოგიურად აქტიურ საწყისებთან (პოლიფენოლები, ეთერზეთები, პოლისაქაროდები), მათი სინერგიული მოქმედება (აციდოფილური ბაქტერიები) ხელს უწყობენ სასარგებლო ბაქტერიების ზრდას და ეწინააღმდეგებიან პათოგენური მიკრობების გამრავლებას.

**გამოყენების ჩვენებები, დოზირება**

საკვებდანამატი "ჩემი ბოჩოლა" გამოიყენება მეხორცული და მერძეული ხბოების საკვების მოსამზადებლად.

აადვილებს ძუძუთი კვებიდან ასხლეტას და უხეშ საკვებზე გადასვლას.

ხელს უწყობს ფაშვის ჩამოყალიბებას

უზრუნველყოფს ძლიერი ხბოს გამოზრდას.

ზრდის წონამატს

საუკეთესოა პოსტვაქცინალური და ტემპერატურული სტრესების დროს

საკვებდანამატი გამოიყენება ძირითად საკვებში შერევით, დოზით 250გ/30კგ-ზე, 1 თვის ასაკიდან 6 თვის მანძილზე.

**IV პირადი პროფილაქტიკა**

მუშაობის დროს უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი წესები, გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (სპეცტანსაცმელი, დამცავი სათვალე, რესპირატორი). პროცედურის დასრულების შემდეგ დაიბანეთ ხელები, სახე თბილი წყლითა და საპნით.